



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო  
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/5967  
18/07/2018

5967-09-2-201807181732



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა  
და განვითარების ცენტრის  
პროგრამის კოორდინატორს  
ბატონ ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

თქვენი 2018 წლის 27 ივნისის N3-215 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ი.მ. „დალი ცირეკიძე“-ს მიერ წარმოებულ/დაფასოებულ შაქრის შეფუთვაზე არსებულ წარწერას „ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი“, რომელზეც არ არის აღნიშნული სასერტიფიკაციო ორგანოს დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი და/ან ლოგო, გაცნობებთ, რომ სააგენტოს თბილისის საქალაქო სამსახურის ინსპექტორებმა განახორციელეს სახელმწიფო კონტროლი ი.მ. „დალი ცირეკიძე“-სთან (ს/კ41001003148, მისამართი: ქ.თბილისი, ცემის ქ.N11). ბიზნესოპერატორმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი სერტიფიკატი, რის გამოც აეკრძალა აღნიშნული სურსათის რეალიზაცია და დაჯარიმდა „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“-ს 74<sup>1</sup> მუხლის ნაწილი 2 შესაბამისად 600 ლარით.

პატივისცემით,

გიორგი იაკობაშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.